სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 50 (164) | პარასკევი, 19 მაისი | 1944 წ.

ფრონტელი კომუნისტი — მებრძოლის აღმზრდელი

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ თითქმის სამი წლის ბრძოლა გახდა უმკაცრესი გამოცდა ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოსათვის. ომის მსვლელობაში ჩვენი ქვეყნის ხალხმა გვიჩვენა, რომ იგი გმირია, საბჭოთა სახელმწიფო კი ყველაზე მტკიცე სახელმწიფოა მსოფლიოში. საბჭოთა სახელმწიფო, საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა საუკეთესო ფორმა ომიანობის დროს ხალხის მთელი ძალების დასარაზმავად მტრის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა, ამხანაგ სტალინის, როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის დღეებში არის ბოლშევიკების პარტია. არც ერთ პარტიას არა ჰქონია და არა აქვს ისეთი ავტორიტეტი ხალხის მასებში, როგორც ლენინ-სტალინის პარტიას. სამამულო ომის დღეებში პარტია წარმოსდგა ჩვენს წინაშე როგორც სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი საყოველთაო-სახალხო ბრძოლისა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ომის განმავლობაში ბოლშევიკური პარტია კიდევ უფრო შეუხორცდა ხალხს, უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს.

ბრძოლის ველზე, მტერთან ფიცხელ შეტაკებაში, განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს კომუნისტების სისხლხორცეული კავშირი უპარტიო მასებთან. კომუნისტები ფრონტზე არჩეულ ხალხს წარმოადგენენ. სამშობლოს დასაცავად, სტალინის სახელით გულში კომუნისტები მიუძღვებიან ასობით და ათასობით უპარტიო მებრძოლთ და იმარჯვებენ, რა ძნელი და რაოდენიც არ უნდა იყოს მათ წინაშე დაყენებული საბრძოლო ამოცანა. სევასტოპოლის გმირ განმათავისუფლებელთა პირველ რიგებში ჩვენ ვხედავთ ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელოვან შვილებს.

თვითეული კომუნისტი წარმოადგენს და კიდევაც უნდა წარმოადგენდეს ბრძოლაში მამაცობისა და გამბედაობის ცოცხალ მაგალითს. კომუნისტის პირადი მაგალითი საბრძოლო ვითარებაში მებრძოლებზე ზემოქმედების ყველაზე უფრო ძლიერი ფორმაა. კომუნისტი ბრძოლაში ისეთი უნდა იყოს, რომ უპარტიოები ცდილობდნენ მიბაძონ მას.

კომუნისტი წითელარმიელთა მასის წინამძღოლია. წინამძღოლად კი შეიძლება მხოლოდ მაშინ გახდე, როცა სრულყოფილად გაქვს დაუფლებული სამხედრო ოსტატობას, მდიდარ საბრძოლო გამოცდილებას და გადასცემ ამ გამოცდილებას შენს ამხანაგებს ათეულში, ბატარეაში, ოცეულში, დივიზიონში, ასეულში. კომუნისტის ავტორიტეტი და საბრძოლო სახელი უნდა იზრდებოდეს და სცილდებოდეს ოცეულის, ასეულის, ბატალიონის ფარგლებს.

გამბედაობის პირადი მაგალითი, და თუ საჭიროა, სამშობლოს ინტერესებისათვის თავგანწირვა უდიდესი ძალაა. ბოლშევიკის პირადი მაგალითი ზრდის წითელარმიელთა მასას საბჭოთა ქვეყნისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

წითელარმიელების ნამდვილი წინამძღოლი და აღმზრდელი რომ იყოს, კომუნისტი მუდმივად უნდა იზრდებოდეს სამხედრო, პოლიტიკური და კულტურული მხრივ. იგი უნდა წარმოადგენდეს სარდლობის ბრძანებების შესრულების მაგალითს, სწრაფად უნდა აცნობდეს მებრძოლებს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებს, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს, მთელ მსოფლიოში გაისმა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების ისტორიული სიტყვები. კომუნისტისათვის არ შეიძლება იყოს იმაზე უფრო მაღალი მოვალეობა, ვიდრე ამხანაგ სტალინის ბრძანების შესრულებაა, ამასთან ერთად კომუნისტი ვალდებულია გააცნოს სტალინის ბრძნული სიტყვები თვითეულ მებრძოლს.

საბრძოლო ცხოვრებაში სიხარულიც არის და მწუხარებაც. კომუნისტმა მებრძოლებთან ერთად უნდა გაიზიაროს ერთიც და მეორეც. მოხდება ხოლმე, რომ მოწინავე, მუდამ ხალისიანი მებრძოლი უეცრად მოიწყენს. გულისხმიერი კომუნისტი აქ უნდა ჩაერიოს საქმეში, მაგრამ არა ფორმალურად, არამედ სულითა და გულით, ადამიანურად, შეიტყოს რაშია საქმე, გაამხნევოს ალერსიანი სიტყვით, და თუ საჭიროა, დაეხმაროს კიდეც. ცოცხალი, ადამიანური მონაწილეობა აღადგენს ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ძალებს, ასეთი მზრუნველობისათვის მებრძოლები პატივისცემით მოეპყრობიან კომუნისტს და მისი ავტორიტეტი უეჭველად გაიზრდება.

თავისი სამშობლოს დასაცავად ერთსულოვნად დაირაზმნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები.

ფრონტზე მხარდამხარ იბრძვიან და გმირულად იცავენ სოციალისტურ სამშობლოს რუსი და უკრაინელი, ქართველი და აზერბაიჯანელი, ბელორუსი და ყაზახი, ლატვიელი და ესტონელი და ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ყველა სხვა ხალხები. ეს არის ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგი. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ კომუნისტს მუდამ ახსოვდეს თავისი მოვალეობა — დაეხმაროს სხვა ეროვნებათა მებრძოლებს, რომლებმაც ზოგ შემთხვევაში ჯერ კიდევ ცუდად იციან რუსული ენა. საჭიროა, რომ მებრძოლებამდე აღწევდეს გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც მათს ენაზე გამოდის, ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული წერილები ამხანაგ სტალინისადმი მათი ოლქებიდან და რესპუბლიკებიდან. არარუსი ეროვნების მებრძოლები მუდმივად უნდა გრძნობდნენ თავიანთი უფროსი ძმის — რუსი კომუნისტის მზრუნველობას. ასეთი მზრუნველობა კიდევ უფრო განამტკიცებს ხალხთა მეგობრობას.

კომუნისტებთან და უპარტიო მებრძოლებთან ყველაზე უფრო ახლო დგას ასეულის პარტორგანიზაცია. იგი უნდა განაზოგადებდეს მებრძოლებთან კომუნისტების მუშაობის გამოცდილებას და უწევდეს მის პოპულარიზაციას, მუდმივად ავსებდეს თავის რიგებს საუკეთესო წითელარმიელებით, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბრძოლაში. ვისთვის არის ყველაზე ცნობილი ყოველი ცალკე კომუნისტის თვისებანი, თუ არა ასეულის პარტორგანიზაციისათვის? ასეულის პარტიული ორგანიზაცია გვერდს არ უნდა უვლიდეს იმათ, ვინც ვერ ამართლებს ბოლშევიკური პარტიის წევრის მაღალ წოდებას, ვინც თავისი საქციელით ბღალავს მის ავტორიტეტს უპარტიო მებრძოლთა თვალში.

სწორი არ არის აზრი, რომ მხოლოდ ბრძოლის პირობებში, უშუალოდ წინა კიდეზე, ბრძოლაში, ფრონტელ კომუნისტს შეუძლია და უნდა იყოს მებრძოლის აღმზრდელი. ჰოსპიტალებში, სარემონტო ბაზებში, საწყობებში, ფორმირების პუნქტებში, ჩვენი ნაწილების ზურგში, ყოველთვის და ყველგან კომუნისტს უნდა ახსოვდეს თავისი პარტიული მოვალეობა, ასრულებდეს თავის ავანგარდულ როლს. ბრძოლის წარმატება წყდება უშუალოდ ბრძოლის ველზე, მაგრამ იგი მზადდება და ბევრი მხრივ უზრუნველყოფილია ზურგის მუშაობით. ჯარის ზურგის ადამიანთა მუშაობაზე ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ნაწილის წესიერი მომარაგება საომარი მასალებით, სურსათით, ჩაცმულობით, მედიკამენტებით, გაზეთებითა და ჟურნალებით. და აქაც უნდა იქნას მიმართული კომუნისტის ყურადღება.

კომუნისტს ბევრი რამ აქვს მინდობილი — იგი მოწინავე ადამიანია, დიადი პარტიის წევრია. კომუნისტს მუდამ უნდა ახსოვდეს დიდი სტალინის სიტყვები:

„ჩვენ, კომუნისტები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოჭრილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომელნიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, როგორც პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი".

მაღლა ეჭიროს პარტიის წევრის წოდება, იყოს მაგალითი წითელი არმიის უპარტიო მებრძოლთა მთელი მასისათვის, მაგრად ურტყამდეს მტერს, ყოველთვის და ყველგან იყოს მებრძოლთა წინამძღოლი და აღმზრდელი — ასეთი უნდა იყოს ბოლშევიკი ფრონტზე.

„პრავდის" 16 მაისის მოწინავედან.

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა ნორვეგიის მთავრობასთან შეთანხმებები დასდეს ნორვეგიის ტერიტორიაზე სამოქალაქო ადმინისტრაციის შესახებ

შეერთებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობებმა ნორვეგიის მთავრობასთან იდენტური პირობებით დასდეს შეთანხმებანი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას სამოქალაქო ადმინისტრაციისა და იურისდიქციის მხრივ ნორვეგიის ტერიტორიაზე, როდესაც იგი განთავისუფლებულ იქნება მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების მიერ.

ნაგულისხმევია, რომ ამ შეთანხმებებს არსებითად დროებითი და პრაქტიკული ხასიათი ექნება. ისინი ნავარაუდევია იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო გააადვილონ ამოცანები მოკავშირეთა სარდლებს და ხელი შეუწყონ დაინტერესებულ მთავრობათა საერთო მიზანს, სახელდობრ — ნორვეგიის ტერიტორიიდან გერმანელთა უსწრაფესად განდევნა და გერმანიაზე მოკავშირეების საბოლოო გამარჯვებას.

შეთანხმებანი აღიარებენ, რომ ნორვეგიის განთავისუფლების პირველი ან საომარი ფაზის განმავლობაში სარდლებმა დე-ფაქტო უნდა ისარგებლონ უმაღლესი ძალაუფლებით და სამოქალაქო ადმინისტრაციის მხრივ უნდა იკისრონ მთელი პასუხისმგებლობა, რაც გამოწვეულ იქნება საომარი მდგომარეობის აუცილებლობით. დადგენილია, რომ, როგორც კი საომარი მდგომარეობა ამის საშუალებას მოგვცემს, ნორვეგიის მთავრობამ კვლავ უნდა მიიღოს თავის თავზე სრული კონსტიტუციური პასუხისმგებლობა სამოქალაქო ადმინისტრაციისათვის, ამასთან მიღებულია მხედველობაში, რომ მოკავშირეთა ჯარების განკარგულებაში იქნება ნორვეგიის ტერიტორიაზე ის საშუალებანი, რომლებიც მათ დასჭირდებათ ომის საბოლოოდ დამთავრებისათვის.

გენერალ-ლეიტენანტ პ. გ. ჩანჩიბაძისა და გენერალ-მაიორ ვ. ს. ძაბახიძის დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და გაბედული ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენებით დააჯილდოვა წითელი არმიის გენერლები და ოფიცერთა შემადგენლობის ჯგუფი.

სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არის გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი პორფირე გიორგის-ძე ჩანჩიბაძე, სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოებულთა შორის — გენერალ-მაიორი ვალერიან სერგის-ძე ძაბახიძე.

ი. კ. იოსელიანსა და ა. გ. კანანაძეს საბჭოთა კავშირის გმირობა მიენიჭათ

დღევანდელ გაზეთებში მოთავსებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

ყირიმის განთავისუფლებისათვის გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის" გადაცემით ოფიცრებს, მათ შორის მესამე რანგის კაპიტან იაროსლავ კონსტანტინეს-ძე იოსელიანს, და უფროს ლეიტენანტ ალექსანდრე გიორგის-ძე კანანაძეს.

გაზეთი „პრავდა" მოწინავე სტატიაში — „დიდება ყირიმის გმირებს" — სწერს საბჭოთა კავშირის გმირების ლეიტენანტ როგაჩევსკისა და მისი ამხანაგების მეტორპედეთა — კანანაძის, კოტოვის, კოჩიევისა და კუდლენკოს შესახებ, რომლებმაც არაერთხელ მიიღეს მონაწილეობა შავ ზღვაზე მტრის გემებზე გაბედულ თავდასხმებში და პირველებმა გახსნეს ზღვაში მტრის სადესანტო კარჭაპების ჩაძირვის ანგარიში.

გაზეთი „კრასნი ფლოტი" მოწინავე სტატიაში ასახელებს მთავარ წყალქვეშელებს მესამე რანგის კაპიტნებს მიხეილ გრეშილოვსა და იოსელიანს, სატორპედო კატერების ოფიცრებს გიორგი როგაჩევსკისა და ალექსანდრე კანანაძეს, რომლებმაც თავი ისახელეს საზღვაო ბრძოლებში ყირიმის მისადგომებთან. გაზეთი სწერს: „სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა შავი ზღვის მეზღვაურთა მონაწილეობას ყირიმის განთავისუფლებაში. ჯილდოები აღაფრთოვანებენ სამხედრო მეზღვაურებს და ვალდებულებას აკისრებენ მათ — განუწყვეტლივ ზარდონ მტრისადმი თავიანთი დარტყმების ძალა."

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

18 მაისის ოპერატიულ ცნობიდან

17 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

18 მაისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაამზიანეს და მოსპეს გერმანელთა 8 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 20 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და დაიკავეს დიდი მნიშვნელობის მქონე სიმაღლე. უკან დახევისას გერმანელებმა ბრძოლის ველზე დატოვეს 90 მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ იგდეს 3 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი, 65 შაშხანა და ავტომატი. სხვა უბანზე საბჭოთა მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე იერიში და გაჟლიტეს ორი ასეული ჰიტლერელი. ტყვედ წაყვანილია 40 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქალაქ ტირასპოლის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგემ სცადა წინა დღით დაკარგული პოზიციების დაბრუნება. დილაადრიან გერმანელთა ქვეითი ჯარი და ტანკები იერიშზე გადმოვიდნენ. ჰიტლერელებმა, რომლებიც ჩვენებმა საარტილერიო-სანაღმსატყორცნო და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხვდნენ, დიდი ზარალი ნახეს და უკან დაიხიეს. წარმატება არა ჰქონია არც შემდგომ მათ იერიშს. დღის განმავლობაში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და დაამზიანეს გერმანელთა 7 ტანკი.

ბრძოლა მთატყიან ადგილმდებარეობაში

გენერალ-მაიორი ნ. ბიაზი

* *

კარპატის მთების კალთებზე საბრძოლო მოქმედება დაკავშირებულია მთებსა და ტყეებში ბრძოლებისათვის დამახასიათებელ სიძნელეებთან. მაგრამ არავითარ სიძნელეებს არ შეუძლია შეაჩეროს რუსული არმია. სუვოროვი ამბობდა—იქ, სადაც ირემი გაივლის, რუსიც გაივლის, მაგრამ, სადაც ირემი ვერ გაივლის, რუსი მაინც გაივლისო.

თანამედროვე ომმა თავისი თვალუწვდენელი ფრონტებით და ძლიერი სამხედრო ტექნიკით შეიარაღებულ მრავალმილიონიანი არმიით, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად იმოქმედა მთებში და ტყიან ადგილებში ბრძოლების ხასიათზეც. აქ, ძველ დროს მცირე ძალებით და პრიმიტიული ტექნიკური საშუალებებით ჩატარებულმა ბრძოლებმა დღეს ადგილი დაუთმეს მსხვილი საჯარისო შენაერთების ოპერაციებს. ჩრდილოეთ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროების ტყიან მთებში მიმდინარე ბრძოლების გამოცდილებამ ნათლად დაგვიმტკიცა ფართო ფრონტზე ოპერაციების ჩატარებისას მრავალრიცხოვანი ჯარისა და ტექნიკის, განსაკუთრებით, ავიაციისა და არტილერიის მონაწილეობის საჭიროება. მაგრამ მთებში მსხვილი საჯარისო შენაერთების მონაწილეობა სრულიად არ გამორიცხავს პატარა ქვედანაყოფების საბრძოლო მოქმედების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომლებიც მამაცურად შეიჭრებიან ხოლმე მტრის ფლანგებზე და ზურგში.

მაღლიდან კარგი თვალსაწიერი, რელიეფის დასერილობა, ძნელად მისასვლელობა, წყვეტილი მიწისპირი, მთის ქედები, ხევები, უგზოობა, ცალკეულ ჯგუფების ურთიერთშორისობა—ყველაფერი ეს ქმნის საუკეთესო პირობებს პატარა ქვედანაყოფების მამაცი და შეუპოვარი მოქმედებისათვის. მთატყიანი ადგილები ცოტა ძალას ითხოვს მებრძოლთა მცირე, მაგრამ გაბედულ ჯგუფსაც კი. ეს არ ნიშნავს, რომ ასეთ ადგილებში ბრძოლა ადვილი არ არის. ტყე აძნელებს ხედვადობასა და ორიენტირებას, ხოლო ტყეში ალმართები და ფერდობები მქანცავს ადამიანს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილმდებარეობის გულდასმით შესწავლას, მომავალი მოქმედებისათვის გზების დეტალურად დამუშავებას, დაზვერვის მზადებას. ყველა ამ პირობების დაცვის დროს თითოეული მებრძოლი, ისეთიც კი, რომელსაც არ გაუვლია სპეციალური ფიზიკური მომზადება, შეძლებს და უნდა შეძლოს კიდევაც წარმატებით იბრძოლოს მთებში. წინდახედულობა, ფრთხილი მოქმედება, საზრიანი ინიციატივის გამოჩენა, მოქმედების გაბედული ტემპი, მოულოდნელი თავდასხმა, მტრის შეუბრალებლად მოსპობა და დაკავებულ ადგილზე მტკიცედ გამაგრება გამარჯვების საწინდარია.

მთებში თავდამსხმელთათვის არ უნდა არსებობდეს გადაულახავი დაბრკოლებანი. ციცაბო ფერდობებს, მაღლობებს, ლოდნარებს, ხშირ ტყეებს, უგზოობას, ნისლსა და უამინდობას არ შეუძლია შეაჩეროს ჩვენი შეტევა. მთელ რიგ შემთხვევებში ამ არახელსაყრელი პირობების მოხერხებულ გამოყენებას სარგებლობის მოტანაც კი შეუძლია, მაგალითად ადგილობრივი მეხოგრიბლების [illegible], მოუვალი მთიანი ადგილები არ არსებობს, ადამიანს ყოველთვის შეუძლია გამონახოს ასვლის საშუალება ერთი შეხედვით თითქმის მიუვალ სიმაღლეზე. სიმთო პოზიცია ძლიერია, მაგრამ ამასთან ერთად, არ არსებობს მთებში ისეთი პოზიცია, რომლის აღებაც არ შეიძლებოდეს. მთატყიან ადგილებში მოწინააღმდეგეს არა აქვს ერთიანი თავდაცვა. ყოველთვის მოიძებნება ცარიელი, ან ნაწილობრივ დაუცველი შუალედები. შემოვლა და ერთდროულად გარემოცვა—აი მთებში ბრძოლის ძირითადი ფორმები.

მცირე ძალები, რომლებიც გარემოცვას უკეთებენ მტრის დასაყრდენ პუნქტებს, ცალკეულ ავტომატებს, თოფ-ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით მტრის ყურადღებას მოსწყვეტენ ფრონტს. ერთდროულად ჩვენი ასეულები და ბატალიონები შემოვლით შეტევას ნაწილობრივ ერთი მხრიდან სიმაღლეზე მიიტანენ. ამასთან ერთად, ისინი ერიდებიან გამოთითოებულ ხევებსა და ველებს (სადაც მოწინააღმდეგე ჩვეულებრივ ამზადებს საცეცხლე ტომრებს), ადიან მოწინააღმდეგეზე მაღლა, და შემდეგ თავს ესხმიან მას ზევიდან, ფლანგებიდან და ზურგიდან.

ყოველმა პატარა ქვედანაყოფმა უნდა შემოიაროს მტრის საცეცხლე წერტი. ისარგებლებს რა მრავალრიცხოვანი მკვდარი სივრცეებით და ტყის საფარით, ქვედანაყოფი ახლოს უნდა მივიდეს მტერთან და მოულოდნელი იერიში მიიტანოს ზევიდან.

მთატყიან ადგილმდებარეობაში დარტყმა უნდა იყოს უეცარი და ქვეითი ჯარის მოქმედება უნდა ატარებდეს შემტევი ბრძოლის ხასიათს. ავტომატი, ხელისა და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა, ხელის ტყვიამფრქვევი და ნაღმსატყორცნი—აი, ქვეითებისათვის ყოველგვარ ადგილმდებარეობაში გამოსაყენებელი იარაღები. დაზგის ტყვიამფრქვევები და ცალკეული ქვემეხები, მსუბუქი არტილერია ყველგან უნდა თან ახლდეს ქვეითებს. ვისაც მთის სიმაღლეზე აქვს ქვემეხი ატანილი, იგი მის ქვეშ მდებარე ხევისა და ველების ბატონ-პატრონია. გაბედულად უნდა ატარო სიმაღლეზე ნაღმსატყორცნები და ქვემეხები. ამასთან ერთად, მთავარია არა მარტო მათი რაოდენობა, არამედ მათი სრული და განუწყვეტელი მომარაგება საბრძოლო მასალით.

ყოველ ბატალიონში, და ზოგჯერ ასეულში, გამოიყოფა ავტომატჩიკთა ჯგუფები (ბატალიონში 20-30 ავტომატჩიკი ნაღმსატყორცნით და 2-3 ხელის ტყვიამფრქვევით), რომლებიც წინ მიუძღვიან შემტევ ქვედანაყოფებს. სიმაღლის მიდგომების დროს ავტომატჩიკთა ჯგუფები შეიჭრებიან ზურგში და იქიდან ესვრიან სიმაღლეებს, რათა უქმნიან მტერს გარშემორტყმის საშიშროებას. ერთდროულად შემტევი ასეულები და ბატალიონები ფლანგებიდან გადაჭრით დარტყმებით იპყრობენ მნიშვნელოვან სიმაღლეებს. ამ სიმაღლეებზე მოწინააღმდეგის სიმაგრეების არტილერიით და ავიაციით წინასწარი ძლიერი დამუშავება, (მინებრივი ტრაქტორით) ჩვეულებრივად, არ არის ძნელი, რადგან ეს სიმაღლეები და მათზე განლაგებული დასაყრდენი პუნქტები კარგად მოჩანან და წარმოადგენენ მოსახერხებელ სამიზნეებს. შეტევის დროს უნდა დავანგრიოთ მტრის თავდაცვის სისტემა, ამისათვის კი საჭიროა გამაგრებული რაიონების თანმიმდევრობითი მოსპობა, მტრის ამ სიმაგრეებისათვის შემოვლა ზურგში შეჭრილი მცირე ჯგუფებითაც კი და ყოველმხრივ ერთდროული დარტყმა დასაყრდენ პუნქტებზე, როგორც წესი, წარმატებებს იძლევა. მაგრამ ასეთ მოქმედებას წინ უნდა უძღოდეს მოწინააღმდეგის საცეცხლე სისტემისა და ადგილმდებარეობის გულდასმითი დაზვერვა.

შეტევის პროცესში არ უნდა შევჩერდეთ იმის გამო, რომ უკან დაგვრჩა მოწინააღმდეგის ჯერ კიდევ აუღებელი დასაყრდენი პუნქტი, არამედ უნდა განვაგრძოთ გაბედული წინსვლა, რათა განვაპირობოთ ჩვენს ზურგში დარჩენილი მოწინააღმდეგის ქვედანაყოფებისა და ნაწილების მთლიანი გარემოცვა. უკან დატოვებული ტყიანი ველები და ხევები უნდა გაიწმინდოს იქ დარჩენილი გერმანელთა ჯგუფებისაგან.

კონკრეტულად რაში გამოიხატება პატარა ქვედანაყოფების საბრძოლო მოქმედება მთატყიან ადგილმდებარეობაში?

შემტევ ქვეითების წინაშე ხშირად [illegible] მტრის საცეცხლე წერტების მანძილი მოკლეა. მაგრამ ძლიერი საარტილერიო მომზადებისა და ავიაციის მაგარი დარტყმის შემდეგ, ქვეითები ენერგიულად უნდა წავიდნენ წინ ნაღმსატყორცნებისა და ცალკეული ქვემეხების თანხლებით, რომლებიც პირდაპირი დამიზნებით უშვებენ ცეცხლს. ავტომატჩიკები მიდიან წინ და ფლანგებიდან პირველნი შეიჭრებიან ტრანშეებში. ისინი მოწინააღმდეგის ნარჩენებს ცეცხლის ხელის ყუმბარებისა და ავტომატების მოკლე ჯერებით. მთებში ბევრია მკვდარი სივრცე და ქვეითებს არ უნდა ეშინოდეთ ახლოს მივიდნენ თავიანთი ზურგების [illegible] ხაზიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში არტილერიის ცეცხლის სიღრმეში გადატანისას ქვეითები აღმოჩნდებიან მტრის გამოცოცხლებული ნაღმსატყორცნებისა და ავტომატების ცეცხლის ქვეშ, და იძულებული იქნებიან ლოდებს უკან ჩაწვნენ და გაიღონ უმიზნო მსხვერპლი. მოწინააღმდეგის გამოცოცხლებული საცეცხლე წერტები და ზღვარიდან გამოყვანილი მისი საცეცხლე საშუალებანი უნდა მოვსპოთ ნაღმსატყორცნების ძლიერი საცეცხლე თავდასხმით, რომლის კვალდაკვალ ქვეითები იერიშზე გადადიან.

აღწერილი მოქმედება აბამს მოწინააღმდეგის ძალებს. სარგებლობენ რა ამით, ავტომატჩიკთა ჯგუფები ერთდროულად შეიჭრებიან მტრის განლაგების სიღრმეში, მოქმედებენ დაუოკებლად და ფარულად, შეიპარებიან თავდაცვის ღია ადგილებში, ისინი მიდიან უხილავად, ძნელად გასავლელ უბნებში, ტყის ბილიკებში და კლდეებში. ეს ჯგუფი მიერთდება მესანგრეებით, რომლებმაც გზა უნდა გაუწმინდონ ზვავისაგან. მიზანშეწონილია მესანგრეებს ჰყავდეთ ადგილობრივი საიმედო მეგზურები, რომლებიც დიდი სიზუსტით დაეხმარებიან გერმანელთა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ღრმა ზურგში შეჭრილი ცალკეული ჯგუფების მთავარი ამოცანაა გავიდნენ მოწინააღმდეგის დივიზიის ან პოლკის ევაკუაციისა და მომარაგების ძირითად გზაზე. ამ გზაზე ჯგუფებმა უნდა დაიკავონ გადასასვლელი, [illegible] ხიდებით და [illegible] შეჭრილი საკონტროლო სიმაღლეები. [illegible] მათ საშუალებას მისცემს თავიანთი ცეცხლით მოწინააღმდეგეს ჩაუჭრან ევაკუაციისა და მომარაგების გზა.

ჯგუფები მაღლიდან ხელსაყრელ მიმართულებებზე და გამოიყენებენ მეტყევეთა ნაწილს. ეს ავტომატჩიკები [illegible] და ხან აქ, ხან იქ უშვებენ მოულოდნელ ცეცხლს, რათა მტრის ზურგში შექმნან [illegible] რათა მოწინააღმდეგეს აიძულებენ [illegible] ევაკუაცია და მომარაგება. ჯგუფები მუდმივად უნდა ძლიერდებოდნენ ახალი ქვედანაყოფებით. ამ გზით ხდება ჩვენი ძალების დაგროვება ზურგში. მებრძოლთა რიცხვი იზრდება რამდენიმე ჯგუფიდან ასეულამდე, ბატალიონამდე და პოლკამდეც კი.

როდესაც მოწინააღმდეგის ტერიტორია [illegible] სამხედრო მასალის სერიოზულ [illegible] მისი ცეცხლის სისტემა, სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ჩვენი ნაწილები, რომლებიც მოქმედებენ ფრონტით, აძლიერებენ დარტყმებს მტრის ფლანგებზე. ამასთან ერთად, ხშირად მარტო გარემოცვის საფრთხეც კი აიძულებს მოწინააღმდეგეს დატოვოს მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები. აი, აქ განსაკუთრებით დიდი როლის შესრულება შეუძლიათ გერმანელების ზურგში მყოფ ჩვენს ქვედანაყოფებს. ისინი თავს ესხმიან და სპობენ უკანდახეულ მტრის ჯგუფებს. თუ უკანდახეული განაგრძობენ თავდაცვას, მაშინ მათი მოსპობა ხდება სხვადასხვა მხრიდან ჩვენი ნაწილების განუწყვეტელი მოქმედებით.

მთატყიან ადგილმდებარეობის თავისებურება საჭიროს ხდის შეტევის დროს გამოიყენოს რეზერვები. ამ რეზერვების დანიშნულებაა ჩვენს ზურგში შემოჭრილი მოწინააღმდეგის ჯგუფების კონტრიერიშების მოგერიება და მათი მოსპობა.

როგორი საბრძოლო რიგებით მიდიან შემტევი ქვედანაყოფები?

ჩვენი შემტევი ქვედანაყოფების საბრძოლო რიგი ასეთია:

მსროლელი ათეული უტევს ჯაჭვურად, მებრძოლთა შორის 3-4 მეტრი ინტერვალებით, ხელის ტყვიამფრქვევი ჯაჭვის შუაშია, ათეულის მეთაური წინ მიდის, რომელსაც თანახლავს მეკავშირე.

მსროლელი ოცეული უტევს, ჰყავს რა ერთ ხაზზე ან გადაწევით (მარცხნივ, მარჯვნივ) სამი ათეული 30-40 მეტრზე. შუაში მიჰყვება სარეზერვო ათეული, ხოლო მის სიღრმეში მოძრაობენ ნაღმსატყორცნები. ოცეულის მეთაური თავისი მეკავშირით მიჰყვება პირველი ხაზის ათეულისა და სარეზერვო ათეულს შორის. [illegible] კარგია [illegible] ქვემეხები, თუ კი შესაძლებელია მათი წაღება. ოცეულის ჯაჭვის წინ, 100-150 მეტრის მოშორებით, მიდის საბრძოლო მზვერავი ჯგუფი 3-4 ავტომატჩიკისა და მესანგრის შემადგენლობით. მზვერავის ამოცანაა გააფრთხილოს ოცეული მტრის მოულოდნელი თავდასხმისაგან, [illegible] და წინსვლაში დახმარება გაუწიოს თავის და მეზობელ ოცეულებს.

ყოველი დაკავებული სიმაღლე ან ადგილმდებარეობის უბანი დაუყოვნებლივ უნდა გავამაგროთ. აქ სასწრაფოდ უნდა მოვიტანოთ საცეცხლე საშუალებანი და მაშინ დავიწყოთ შემდგომი წინსვლა. [illegible] დაკავებული და გამაგრებული პუნქტი სიმტკიცით უნდა [illegible] იგი უნდა [illegible] ქვეითთა და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებით (აქ, სადაც ტანკების საშიშროებაა), და [illegible] დასაყრდენ პუნქტებზე გამაგრება, რომლებიც განლაგებულია ჩვენი შემტევი ნაწილების ფლანგებზე და შესაყარებზე. [illegible] რომ არ იყოს მოულოდნელი, ბრძოლის დროს განუწყვეტლივ სწარმოებს დაზვერვა, [illegible] და უწყვეტი საბრძოლო დაცვა.

დამპყრობლების შეტევის მთატყიან ადგილებში უნდა მოვძებნოთ [illegible] და აგრეთვე ტყეში და მთებში [illegible] შეკრების პუნქტზე მებრძოლების [illegible] თავიანთ ნაწილებში.

(„კრასნაია ზვეზდა")

კაპიტან ა. ალიევის ქვედანაყოფის მებრძოლები გადალახავენ მთის მდინარის გადასასვლელს.

სწავლობენ მთებში ბრძოლის ხელოვნებას

ჩვენს პოლკში დიდი ყურადღება ექცევა ქვეგანაყოფთა საბრძოლო გაწვრთნის ფართოდ დანერგვის საქმეს. აქ ყოველი ტაქტიკური მეცადინეობა თუ საბრძოლო სროლა ფრონტისათვის მიახლოვებულ პირობებში ტარდება. ამას წინათ ჩატარდა მეტად საინტერესო ტაქტიკური მეცადინეობა თემაზე „გაძლიერებული ოცეული მთებში შეტევის დროს". ოცეული შეტევას საარტილერიო ცეცხლით უზრუნველყოფდა კაპიტან ბეჟანიძის საარტილერიო ქვეგანაყოფი.

მებრძოლებმა გამოსავალი ზღუდე დაიკავეს. ოფიცრებმა დაწვრილებით გააცნეს მათ საბრძოლო ამოცანა და მოქმედების გეგმა. გარდა ამისა, ჩვენ უჩვენეს ის სიმაღლეები, რომლის რაიონში მოსალოდნელი იყო „მოწინააღმდეგესთან" შეხვედრა და ბრძოლა.

ლაშქრობა გათენებისას დაიწყო. რაც უფრო მაღლა შევიწევდით მთებში, მით უფრო მეტი დაბრკოლებები გვხვდებოდა. მოძრაობას აძნელებდა კოკისპირული წვიმა. ახლა მეცრამე(?) მებრძოლმა [illegible] წყალთის(?) ფასი. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ნაწილმა თავის დროზე დაიკავა საცეცხლე პოზიცია. მალე მზვერავებმა „მოწინააღმდეგეზე" ზუსტი ცნობები მოიტანეს. ძლიერი საარტილერიო ცეცხლის საფარქვეშ ნაწილმა შეტევა დაიწყო. მებრძოლები მოხერხებულად იყენებდნენ მთის ადგილმდებარეობას შეხამებისა და საცეცხლე პოზიციების არჩევისათვის.

მებრძოლებმა ვაშალომიძემ, ქიტოშვილმა, პილიკაშვილმა, ბერაძემ, მარლობიამ(?) და სხვებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში, სამთო ბრძოლის საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენეს. ნაწილმა ამოცანა ღირსეულად შეასრულა. განსაკუთრებით კარგად მოქმედებდნენ ოფიცრების გასვიანის, ხიტალაძის და ძლიერიშვილის ქვეგანაყოფების მებრძოლები.

ლეიტენანტი ზ. ყველაიძე

პარტორგი ალექსანდრე ფარცვანია

სერჟანტი ალექსანდრე ფარცვანია პირველი მსოფლიო ომის მონაწილეა. იგი რიგით ჯარისკაცად მსახურობდა რუსეთის არმიაში, იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, დაჯილდოვებული იყო გიორგის ოთხი ჯვრით.

პირველად გიორგის ჯვარი ამხ. ფარცვანიამ მიიღო დაზვერვაში მამაცური და ინიციატური მოქმედებისათვის. მზვერავთა მცირე ჯგუფმა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, გაანადგურა გერმანელთა პოლკის შტაბი, ხელთ იგდო შტაბის დოკუმენტები და დაბრუნდა ნაწილში ისე, რომ არცერთი კაცი არ დაუკარგავს.

დანარჩენი სამი ჯილდო რიგით ჯარისკაც ფარცვანიას მიეცა ტყვეების მოყვანისათვის და მოწინააღმდეგის ზურგში ხიდის აფეთქებისათვის.

1917 წელში ამხ. ფარცვანია მოსკოვში იყო და მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის დღეებში. ამავე წელს შევიდა იგი კომუნისტური პარტიის რიგებში.

სამოქალაქო ომის წლები ფარცვანიამ მშობლიურ საქართველოში გაატარა. აქ ის ბრძოლას აწარმოებდა გერმანელ ოკუპანტებისა და გამყიდველ მენშევიკების წინააღმდეგ.

როდესაც გერმანულ ფაშისტმა დამპყრობლებმა ვერაგულად დაარღვიეს ჩვენი სახელმწიფო საზღვარი, ალექსანდრე ფარცვანია წითელი არმიის რიგებში ჩადგა, რათა იარაღით ხელში დაიცვას სოციალისტური სამშობლო. რიგითმა მებრძოლმა ფარცვანიამ ჩქარა მოიპოვა ავტორიტეტი თავის ამხანაგებში — მებრძოლებსა და მეთაურებში. ასეულის პარტორგანიზაცია, რომლის პარტორგიც იგი იყო, სამართლიანად ითვლებოდა მოწინავედ მთელს პოლკში.

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში საუკეთესო წარმატებისათვის რიგით მებრძოლ ფარცვანიას მიენიჭა სერჟანტის წოდება. ამას წინათ იგი დაწინაურებულ იქნა ბატალიონის პარტორგის თანამდებობაზე. იგი კარგად უძღვება ამ ახალს საპასუხისმგებლო უბანს.

ამხ. ფარცვანიას სამი შვილი სამამულო ომის ფრონტზე იბრძვის. ალექსანდრე კაპიტანია, გრიგოლი — უფროსი ლეიტენანტი, ხოლო ბარმენი(?) — უმცროსი ლეიტენანტი.

სერიოზული, თავისთავის და თავის ამხანაგებისადმი მომთხოვნი კომუნისტი ფარცვანია სამართლიანად სარგებლობს პოლკში საერთო პატივისცემითა და სიყვარულით.

მე მას სიამაყით ვატარებ

სერჟანტმა [illegible] სამამულო ომის ფრონტზე სამი წლიდან(?) [illegible]. იგი 1942 წელს იბრძოდა ყირიმში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და ინიციატივიანმა [illegible]. ერთ-ერთ შეტევის ბრძოლაში ამხ. [illegible] [illegible] კვლავ სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

კავკასიის დაცვაში ამხ. [illegible] აქტიური მონაწილეობა მიიღო. [illegible] ამჟამად ამხ. [illegible] თავის მდიდარ საბრძოლო გამოცდილებას ხალისით უზიარებს მებრძოლებს.

ამხანაგი სტალინის საპირველმაისო ბრძანების ღრმად შესწავლას ამხ. [illegible] დიდი ყურადღება მოაქცია. [illegible]

— მედალი „კავკასიის დაცვისათვის" დიდი ღირსებით,—ამბობს ამხ. [illegible],—ერთიორად გააორკეცებს ჩემს ენერგიას. მას მე სიამაყით ვატარებ, როგორც სამშობლოსათვის ბრძოლის ძვირფას მოსაგონარს. მალე კვლავ მოგველის შეუპოვარი ბრძოლები. [illegible] სამშობლოსათვის, სტალინისათვის.

მისი სიტყვა და საქმე განუყოფელია.

ანდრო თევზაძე

საქმით ვუპასუხებთ ბელადის ბრძანებას

არაფერი შეედრება იმ იარაღის სიყვარულს, რომლითაც შენ სამშობლოს [illegible] ჩემი [illegible] მტერს [illegible].

მე ბრძოლის ველზე შევიგნე, რომ საბჭოთა მეომრისათვის შეუძლებელი არაფერია. თვალუწვდენელ სიმაღლეებზე და მთის ციცაბო ბილიკებზე, სადაც ირემიც კი ვერ გაივლის, თავისუფლად [illegible]. [illegible]

ახლაც ამაყად გამოიყურება ჩემი [illegible]. ჩვენი გუნდის სხვა მებრძოლებთან ერთად, [illegible] კიდევ უფრო [illegible].

მედალ „კავკასიის დაცვისათვის" [illegible] ჩემში ახალი საბრძოლო აღტყინება გამოიწვია.

უფრო მეტი მონდომებით ვიმუშავებ, რათა საქმით ვუპასუხო უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის საბრძოლო მოთხოვნებს.

რიგითი მებრძოლი ა. ჯანიბეგაშვილი.

★

ღირსეული მეკავშირეები

ამას წინათ ჩატარებულ შემოწმებაზე საატესტაციო კომისიამ პირველი კლასის რადისტისა და ტელეგრაფისტის სახელწოდება მიანიჭა და „ღირსეული მეკავშირის" სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა უფროსი ლეიტენანტ კომაროვის ქვეგანაყოფის მთელი რიგი სერჟანტები და მებრძოლები.

დაჯილდოვებულთა შორის არიან უფროსი სერჟანტები ვასილიევი, მაკლაკოვი(?), კოსტენკო და სხვები, რომლებმაც გამოამჟღავნეს სამეკავშირეო საქმის ღრმა ცოდნა და საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ყველა საგნებში საუკეთესო წარმატებებს მიაღწიეს.

კაპიტანმა ამხ. ჩერნიხმა დაჯილდოვებულ ამხანაგებს ყველა ჩააბარა სამკერდე ნიშნები. დაჯილდოვებულმა ამხანაგებმა პირობა დადეს, რომ კიდევ მეტი ენერგიით იმუშავებენ, [illegible] აითვისებენ გვარდიელთა მდიდარ საბრძოლო გამოცდილებებს.

ეფრეიტორი ალ. ზაზუა

ყირიმელი პარტიზანი სანდრო ჩაჩხიანი

[illegible] „ვერ შემიპყრობთ!"—ისმის მის ყურში, „ვერ შემიპყრობთ!".

[illegible]

— [illegible]—ჩურჩულით შეეკითხა სანდრომ, —სად და როდის იყო რომ მეომარი მტერს [illegible]?

[illegible]

— ჩვენები არიან ტყეებში,—ამოიხვნეშა სანდრომ,—ჩვენ მათ თავისუფლებას დავუბრუნებთ.

— მაგრამ [illegible]

[illegible]

— ნუთუ...—სთქვა მან [illegible], ნუთუ გერმანელები [illegible]? [illegible] მისი ნაყოფიერი ველები, მისი ბაღში [illegible] და [illegible]..., ნუთუ გერმანელი...

[illegible]

— ყირიმის მიწა-წყალზე ჩვენ ვიბრძვით სამშობლოსათვის. მე ვფიცავ,—სთქვა მან [illegible], [illegible] ქართული გული, [illegible] ყირიმის მიწაზე, რომ [illegible].

[illegible]

პარტიზანებმა [illegible].

[illegible] ყირიმის [illegible] სანდრო ჩაჩხიანის [illegible]. [illegible] ქართველი, რომელსაც [illegible] ხალხი ყირიმის [illegible].

ვ. ფეიგინი

ყირიმი.

საბრძოლო ძმობა

(ქართული ლიტერატურის სალამოების გამო)

ქართველი მწერლები და პოეტები, ჩვენი ძვირფასი მეგობრები სტუმრად გვეწვივნენ თბილი, აყვავებული საქართველოდან. თავიანთი ლექსებითა და მოთხრობებით მათ მოიტანეს ქართული ხელოვნების მთელი მშვენიერება და ძლიერება.

ისინი—საქართველოს, სახელოვანი რუსთაველის სამშობლოს მწერლები და პოეტები კვლავ უქმნიან სახელს ქართულ ხელოვნებას, ლექსებს, პოემებს და თხზავენ მათ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლის ჩვენს გმირულ ეპოქაში.

საქართველოს, დიდი სტალინის სამშობლოს მწერლებმა და პოეტებმა თავიანთი შემოქმედებით, რომელიც დაკავშირებულია ხალხის მთელ განცდებთან, კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებთან, დიდი სამამულო ომის დროს დაამტკიცეს მშობლიური ხალხის, მშობლიური ქვეყნის ერთგულება და ემსახურებიან მას ფრონტზე და ზურგში.

ხალხთა დიადი მეგობრობა არასოდეს არ გამოჩენილა მსოფლიოს წინაშე ისე სრულად და ისე მკაფიოდ, როგორც უმკაცრესი განსაცდელის ამ წლებში. ბრძოლის ველებზე საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები ურღვევი საბრძოლო ძმობით შეერთდნენ.

ჩვენ, რუსი მწერლები და პოეტები, ვგრძნობდით და ვგრძნობთ ჩვენს საბრძოლო ძმობას ქართველ პოეტებსა და მწერლებთან, ამიტომაც ვიბრძვით მხარდამხარ და ჩვენი სიტყვა, ჩვენი ლექსი სამშობლოს სამსახურში დავაყენეთ.

ჩვენ ვისმენთ არა ლენინგრადში, არა მოსკოვში დაწერილ ლექსებს, არამედ იმ ლექსებს, რომლებიც დაიბადნენ ჩქარი მტკვრის, წყალუხვი ალაზნის ნაპირებზე, მცხუნვარე თბილისში ან ჩქარი თერგის გრილ ხეობებში. მშვენიერია საქართველო. იგი ღვიძლი ძმა არის თანასწორ ძმათა ოჯახში და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს უყვარს მისი სილამაზე, შრომისმოყვარეობა. საქართველო შრომობს ფრონტისათვის და მისი შრომითი გმირობა ერწყმის საბჭოთა კავშირის ხალხთა საერთო ღონისძიებებს საბოლოო გამარჯვების მოახლოების საქმეში.

ქართველი პოეტების ლექსებში არის ბევრი მშვიდობიანობისა და ბევრი ომისა, იმიტომ რომ ომი მიუახლოვდა საქართველოს საზღვრებს და შეჩერებულ იქნა წითელი არმიის მძლე ხელით. ქართული ლექსები უმღერიან გმირობას ფრონტზე და გმირობას ზურგში. ქართველ პოეტთა ლექსებში სცოცხლობს პატრიოტიზმი, სცოცხლობს ახალი კეთილშობილური გრძნობა საბჭოთა ჰუმანიზმისა, რომელიც ძლევამოსილად ებრძვის ფაშიზმის შავს, კაცთმოძულე იდეოლოგიას. ქართული პოეზია, უძველესი დროიდან, ლექსებითა და პოემებით ასახავს ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას, რომლებიც კი დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან. ეს თემა ამჟამად კიდევ უფრო გაღრმავდა, იმიტომ რომ გრძნობა სამშობლოსადმი გაგვიფართოვდა და ქართველისათვის მოსკოვი ისეთივე მშობლიური ქალაქია, როგორც თბილისი, და მტკვრის ნაპირებზე დაბადებული ადამიანი და მდინარე მოსკოვის ნაპირებზე დაბადებული ადამიანი დამოუკიდებელი ამაყი ხალხების ერთი მშვენიერი ოჯახის ძმები არიან.

ქართველებიცა და რუსებიც საბჭოთა კავშირის ყველა მეგობართან ერთად იარაღით იცავენ საერთო სამშობლოს, იცავენ ერთი დროშის ქვეშ, გენიალური მხედართმთავრის—დიდი სტალინის წინამძღოლობით.

ნ. ტიხონოვი

14 მაისის „პრავდა".

საზღვარგარეთ

მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს კასინო და ფორმია

ალჟირი, 18 მაისი (საქტასი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებმა დაიკავეს კასინო, ხოლო ამერიკის მე-5 არმიის ნაწილებმა—ფორმია.

მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა პლოეშტსა და ბელგრადს

ლონდონი, 18 მაისი (საქტასი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ამერიკის მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ პლოეშტსა და ბელგრადს, აგრეთვე ნიშის რკინიგზის კვანძს იუგოსლავიაში.

იდენის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 17 მაისი (საქტასი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონი იდენმა 17 მაისს თემთა პალატაში განაცხადა, რომ, შეთანხმების საფუძველზე, ღონისძიებანი სსრ კავშირის გზით ამანათების გასაგზავნად იმ საბჭოთა ტყვეებისა და ინტერნირებულთათვის, რომლებიც იაპონელთა ხელშია ამჟამად, ნაწილობრივ გავრცელდება ინგლისისა და ამერიკის ქვეშევრდომებზე.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 18 მაისი (საქტასი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობებით, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან ოკუპანტთა წინააღმდეგ ხორვატიაში. ფრონტის უბნებზე ლიკაში და კორდუნში გერმანელებს მნიშვნელოვანი ზარალი მისდით.

აღმოსავლეთ ბოსნიაში იუგოსლავიის ნაწილებმა, რომლებიც წარმატებას აღწევენ, დაიკავეს [illegible] და განაგრძობენ მტრის [illegible]. [illegible] სლოვენიაში [illegible] იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებს. სერბიაში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს [illegible] რაიონში.

დალმაციაში იუგოსლავიის ნაწილები ჯიუტ წინააღმდეგობას უწევენ გერმანელთა დიდ ძალებს.

საწარმოო პროფკავშირთა კონგრესი მხარს უჭერს რუზველტის კანდიდატურას

ნიუ-იორკი, 18 მაისი (საქტასი). საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის პოლიტიკური მოქმედების კომიტეტმა, რომელიც 5 მილიონ წევრს წარმოადგენს, მოიწონა რუზველტის კანდიდატურის წამოყენება პრეზიდენტის პოსტზე მეოთხე ვადისათვის.

ისწავლე რუსული ენა

ОРИЕНТИРОВАНИЕ И НАЗВАНИЕ МЕСТНЫХ ПРЕДМЕТОВ.

ორიენტირება და ადგილობრივი საგნების დასახელება

Где? —	სად?	**Туда —**	იქით
Направление —	მიმართულება	**Оттуда —**	იქიდან
Юг —	სამხრეთი	**Отсюда —**	აქედან
Север —	ჩრდილოეთი	**Далеко —**	შორს
Запад —	დასავლეთი	**Недалеко —**	ახლო
Восток —	აღმოსავლეთი	**Передний —**	წინა
Прямо —	პირდაპირ	**Задний —**	უკანა
Вперед —	წინ	**Левый —**	მარცხენა
Назад —	უკან	**Правый —**	მარჯვენა
Здесь —	აქ	**Фланг —**	ფლანგი
Там —	იქ		

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„კუტუზოვი"

მხატვრული სამხედრო-ისტორიული ფილმი 1812 წლის სამამულო ომზე.

1812 წლის 24 ივნისი... ნაპოლეონის დიდმა არმიამ დაარღვია რუსეთის სახელმწიფო საზღვარი. მდინარე ნემანთან დიდი ვეებერთელა ხანძარი და იგი რისხვით მოიწევს ქვეყნის გულში. იწვის მოგილიოვი, ორშა, ვიტებსკი, სმოლენსკი.

რუსეთის არმია უკან იხევს. ასეთია მთავარსარდლის ბარკლაი დე-ტოლის (მსახიობი ნ. ოხლოპკოვი) ბრძანება. მამაცი რუსი ჯარისკაცები ნატრობენ მტერთან პირისპირ შეხვედრას. მაგრამ ბარკლაის გეგმა [illegible] და სწორი.

რუსეთის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს უმაღლესი მთავარსარდლის პოსტზე კუტუზოვის დანიშვნას. ხალხი იცნობს მხცოვან გენერალს, რომელმაც არაერთგზის მოუპოვა დიდება რუსულ იარაღს. იმპერატორი ალექსანდრე პირველი ითვალისწინებს ხალხის ნებას, დაინიშნოს, თუმცა მას არ უყვარს კუტუზოვი.

აღტაცებითა და „ურას" ძახილით ეგებება რუსეთის არმია საყვარელ მხედართმთავარს მ. კუტუზოვს (მსახიობი ა. დიკიი).

არმიის მებრძოლი სულისკვეთების სამტკიცებისათვის აუცილებელია ნაპოლეონთან გენერალური ბრძოლა, მტერი უსისხლოდ არ უნდა შევიდეს მოსკოვში და კუტუზოვი ბრძოლას [illegible] ბოროდინოსთან.

7 სექტემბრის დილა. ნაპოლეონს (მსახიობი ს. მეჟინსკი) ეჩვენება აუსტერლიცის მზის ამოსვლა. მაგრამ ეს არაა აუსტერლიცი. ეს რუსეთია; კუტუზოვის ბანაკში შეტევითი [illegible]. მტრის რიცხობრივ სიჭარბეს [illegible] მამაცი რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები. იწყება სისხლისმღვრელი ბრძოლა. ნაპოლეონის ცნობილი მარშლები მიურატი, ნეი, დავუ შეტევაზე [illegible] რუსთა ცოცხალ კედელს. ბაგრატიონის ფლეშებსა და რაევსკის რედუტებზე შეუწყვეტელ ნიაღვრად მოდიან ფრანგები. [illegible] მარცხენა ფლანგი, მაგრამ აქ [illegible] შეუპოვარი არწივი ბაგრატიონი (მსახიობი ზაქარიაძე). „სამშობლოისათვის, რუსეთისათვის წინ" — [illegible] მისი ხმა და როგორც ზვავი, მისწყდება რუსთა არმია. წინ მიიწევს მამაცი გენერალი, მაგრამ მტრის ყუმბარა მას ხელიდან [illegible]. გული ეტკინება მწუხარებისაგან კუტუზოვს, როდესაც მას მოახსენებენ ბაგრატიონის დაცემის შესახებ. [illegible] იგი და თვით [illegible] ბრძოლის ქარცეცხლში, რომ ჯარს არ აგრძნობინოს [illegible] დანაკარგი. მტერი [illegible] პოზიციებზე.

მიიწურა ბოროდინოს სისხლიანი დღე. ნაპოლეონის მარშლები „ზეიმობენ" გამარჯვებას, მაგრამ სულ სხვაგვარად აფასებს ამ ბრძოლას ნაპოლეონი. ბოროდინო მისი დამარცხების დასაწყისია. ამ ბრძოლებში რუსებმა მოიპოვეს უფლება იყვნენ უძლეველნი.

კუტუზოვი კმაყოფილია ბოროდინოთი. შორსმჭვრეტელი მხედართმთავარი მიზანს მიღწეულად სთვლის, რუსებმა მოიგეს ეს ბრძოლა.

ცნობილი თათბირი ფილში. კუტუზოვი უსმენს თავის გენერლების მსჯელობას და ბოლოს მტკიცე გადაწყვეტილებით აცხადებს: „მოსკოვის დაკარგვით არაა დაკარგული რუსეთი. არმიის დაკარგვით კი რუსეთია დაკარგული. გიბრძანებთ უკანდახევას".

იწვის ძველისძველი მოსკოვი. ხალხი ჯარს გაჰყვა. ამაში ნათლად ჩანს ომის სახალხო ხასიათი. მოთმინებადაკარგული და შეურაცხყოფილია ნაპოლეონი. [illegible] სახით გაჰყურებს იგი კრემლიდან ცეცხლის ალებს. მას ახლა ზავი სწყურია, რომ არმია შეინარჩუნოს, ახლა იგი შორსაა გამარჯვების [illegible], მაგრამ რუსებს არ უნდათ ზავი.

საზავო წინადადებისათვის მოსულ ფრანგ გენერალს თხოვნაზე დაამთავრონ ომი, კუტუზოვი დამცინავი ღიმილით უპასუხებს: „რა დავამთავროთ. ჩვენ მას მხოლოდ ახლა ვიწყებთ".

თავზარდაცემული ნაპოლეონი სტოვებს მოსკოვს. ახლა მისი არმია დემორალიზებულია და დასავლეთისაკენ გარბის. კუტუზოვი მტერს ქუსლდაქუსლ მისდევს და მთელი რიგი მოხერხებული და ბრწყინვალე ოპერაციებით აიძულებს ნაპოლეონს ძველი სმოლენსკის გაპარტახებული გზით, სადაც მათ სდარაჯობს სიკვდილი და სახალხო შურისმგებლების რისხვა.

საკვირველი სანახავია ეს ბრძოლა. [illegible] ნაწილები და რუსი პარტიზანები შეუბრალებლად ანადგურებენ მათ, და აი საზღვარზე, მდინარე ბერეზინასთან დატრიალდა საშინელი ტრაგედია. ნაპოლეონის ქანცგაწყვეტილი გვარდიის ნაწილებმა ძლივს გადალახეს მდინარე. რუსების გარემოცვისაგან დაშინებული ნაპოლეონი ბრძანებას გასცემს დასწვან ხიდი და ათასობით ფრანგი ჯარისკაცი იღუპება რუსული მახვილითა და მდინარის [illegible] ტალღებში.

ასეთია მხატვრული სამხედრო-ისტორიული ფილმის „კუტუზოვის" მოკლე შინაარსი. (სცენარი ვ. სოლოვიოვისა, დადგმა ვლ. პეტროვის, რეჟისორი მ. ეგოროვი, მხატვარი ვ. ეგოროვი. გამოშვება „მოსფილმისა"). ეს არის 1812 წლის სამამულო ომის მართალი ისტორია. დიდი პატრიოტული სურათი.

ნაპოლეონის ყაჩაღური არმიის შესამუსრავად ერთსულოვნად აღსდგა რუსეთი. ამ ომის ხალხურმა ხასიათმა გადაწყვიტა ბედი და ნაპოლეონის დამარცხება. სასტიკად უსწორდებოდნენ ფრანგ ჯარისკაცებს რუსი გლეხები. მტრის ზურგში მძვინვარებდა პარტიზანული მოძრაობის ალი. პარტიზანების — ბაგრატიონის ყოფილი ადიუტანტის დენის დავიდოვის (შემდეგში ცნობილი პოეტი), ერმოლაი ჩეტვერტაკოვის, პლატოვის, დოროხოვის, კუდაშევის, [illegible] და სხვ. მამაცი შემოტევები, და ბოლოს ლეგენდარული ქალის ვასილისა კოჟინას რაზმები მოულოდნელად ესხმოდნენ თავს მტერს და [illegible] მის ბანაკში.

შთამბეჭდავია ფილმის სისადავე და მხატვრული სიმართლე.

ბრძენი, გულდაჯერებული და შორსმჭვრეტელია მ. კუტუზოვი, იგი დიდი პატრიოტი. დიდი ადამიანი. მას სწამს [illegible] ძალა, ესმის რუსი ჯარისკაცის [illegible], მისი გულისწადილი.

მტრის [illegible] ნაპოლეონის [illegible]. [illegible] პატრიოტის არსებობა წარმოუდგენელია სამშობლოს კეთილდღეობის გარეშე. [illegible] იგი და როცა, [illegible] კუტუზოვს [illegible] მას არ ჩაბარდეს მტერს [illegible] ეს სცენა. [illegible] სიტყვას ამბობს კუტუზოვი და [illegible] მიღწეულია, [illegible] მშვიდობით კვდება.

[illegible] კადრები. ნაპოლეონის [illegible] რუსეთში დამარცხების [illegible]. იგი მწარედ აღიარებს: „ჩვენი [illegible] და მთავარი შეცდომა — ეს იყო [illegible] წინააღმდეგ". [illegible] ნაშთები კი გარბიან [illegible] არმია აღარ არსებობს. ნაპოლეონის [illegible] კარიერა მთავრდება. რუსეთის [illegible] დასავლეთისაკენ.

ასეთია ფილმი.

ეს ფილმი რუსეთის [illegible] დემონსტრაციაა. იგი ამავე დროს [illegible] გერმანელი ავაზაკებისათვის.

[illegible] ჰიტლერმა, რომელიც [illegible] ნაპოლეონის, როგორც [illegible] მოისურვა მსოფლიო [illegible]. ახლა ისიც მწარედ გრძნობს [illegible]. მაგრამ საბჭოთა კავშირი [illegible] მოკავშირეებთან ერთად გერმანელ [illegible] და მისი [illegible] ბოლოს არ მოეღება საკუთარ [illegible].

აკაკი სურგულაძე

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუშვილი

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარასელი

ბ—35454 რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175-С